დისციპლინური დევნის ორგანოები

დისციპლინურ საქმეს არსებითად განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია. კოლეგია შედგება 6 წევრისაგან, რომელთაგან 3 მოსამართლე, ხოლო 3 არამოსამართლე წევრია.

სადისციპლინო კოლეგია დისციპლინურ საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს არაუმეტეს 2 თვის ვადაში.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, დისციპლინური საქმის მხარეებმა შეიძლება გაასაჩივრონ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. სადისციპლინო პალატა სადისციპლინო საქმეს განიხილავს საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში საქმის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ შეიძლება გააგრძელოს 1 თვით.

დისციპლინური სამართალწარმოების შედეგების ხელმისაწვდომობა

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები ვალდებულნი არიან დაიცვან ყველა ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური სამართალწარმოების დროს. კონფიდენციალობის პრინციპიდან გამომდინარე, განმცხადებელს არ ეცნობება ინფორმაცია მისი განცხადების (საჩივრის) განხილვის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

www.hcoj.gov.ge

gtz

Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ),

GTZ-OffiCe Tbilisi 41,Shartava Str, 0146, Tbilisi Georgia

Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (**GTZ**) ფინანსური მხარდაჭერით

2008 ©

დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები

E-mail: council@hcoj.gov.ge

www.hcoj.gov.ge

დისციპლინური გადაცდომის სახეები
დისციპლინური სამართალწარმოების სტადიები.
დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს და კანონს. არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

საქართველოს კანონმდებლობა განამტკიცებს და იცავს მოსამართლის დამოუკიდებლობას, თუმცა მოსამართლის მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გაასაჩივროს მოსამართლის უკანონო ქმედება და მოითხოვოს სათანადო რეაგირება.

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების წესს არეგულირებს საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“.

მოქალაქეს, რომელსაც მიაჩნია, რომ მოსამართლემ ჩაიდინა რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომა, უფლება აქვს განცხადებით ან საჩივრით მიმართოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის (მოსამართლეების) მიმართ \დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. განცხადება (საჩივარი) იწერება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის სახელზე. განმცხადებელმა აუცილებლად უნდა მიუთითოს თავისი ვინაობა და დაადასტუროს ხელმოწერით. ანონიმური განცხადება (საჩივარი) არ მიიღება.

გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევის თაობაზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივრის შეტანა არ ცვლის სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას და შესაბამისად, გავლენას ვერ მოახდენს მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამდენად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის ქმედების გასაჩივრების პარალელურად, აუცილებელია საჩივრის შეტანა ზემდგომ სასამართლოში თქვენთვის მიუღებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით.

მოსამართლის მიერ ჩადენილი რომელი ქმედება შეიძლება გასაჩივრდეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

მოსამართლის მიერ დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება:

- სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს
- კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა
- მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას
- საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება
- მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა

მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება, რასაც საფუძვლად უდევს მისი შინაგანი რწმენა, არ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად და შესაბამისად, მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს შემდეგი სახის დისციპლინურ სახდელებს:

- შენიშვნა
- საყვედური
- მკაცრი საყვედური
- მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება
- მოსამართლეთა რეზერვიდან ამორიცხვა

თუ მოსამართლის მიერ ისეთი დისციპლინური გადაცდომა იქნება ჩადენილი, რომლისთვისაც მიზანშეუწონლად იქნება მიჩნეული მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა, შეიძლება დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდეს და მის მიმართ დისციპლინური სახდელის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს დისციპლინური ზემოქმედების შემდეგი ღონისძიებები:

- მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა
- სასამართლოში დაკავებული ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლება

რა ვადები და პროცედურებია დადგენილი დისციპლინური სამართალწარმოებისათვის

თუ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან გასულია 5 წელი, მას დისციპლინური პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრება.

განცხადების შეტანიდან 2 თვის ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ან საბჭოს აპარატის მოხელის მიერ ხდება განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 კვირით ან შეჩერდეს წინასწარი შემოწმების შეუძლებლობის შემთხვევაში.

წინასწარი შემოწმების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი აფასებს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან მოსამართლისათვის ახსნა–განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

მოსამართლისათვის ახსნა–განმარტების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში მიმდინარეობს დისციპლინური საქმის გამოკვლევა. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 კვირით.

დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს წინადადებით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ საბჭოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ, გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კვირის ვადაში დისციპლინურ საქმესთან ერთად ეგზავნება მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას.